ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 70 (10156) | ხუთშაბათი, 24 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გაიმართა ამა წლის 8 მარტს, საჭიროდ ცნო მიმდინარე წლის 1 აპრილიდან სსრ კავშირში დაიწყოს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა მთლიანად მოიწონა და მხარი დაუჭირა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ამა წლის 18-19 იანვარს ვენაში გამართული გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებებს, რადგან ეს გადაწყვეტილებანი შეესაბამებიან ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაში გამოხატულია ნება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების და რწმენის ადამიანებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთი მისწრაფებით — შეინარჩუნონ მშვიდობა, თავიდან ააშორონ კაცობრიობას ატომური ომი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ევროპის ხალხთა ბრძოლის გაძლიერების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანებმა. მშვიდობის ინტერესები მოითხოვს, რომ აღდგენილ არ იქნას აგრესიული ჰიტლერული ვერმახტი, უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება და ევროპის მტკიცე კოლექტიური უშიშროება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდების პასუხად ყველა ქვეყნის ხალხები სულ უფრო ძლიერ მოითხოვენ, რომ აიკრძალოს ატომური იარაღი. ყოველდღიურად სულ უფრო ძლიერდება და მტკიცდება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მებრძოლთა ფრონტი. მშვიდობის ძალები განუხრელად იზრდებიან და ისინი უკვე ახლა უფრო ძლიერნი არიან ომის ძალებზე.

საბჭოთა კავშირი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ბურჯია. საბჭოთა ხალხის, დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელების მხარდამხარ იბრძვის მშვიდობისათვის მილიონობით მშვიდობის მომხრე კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

საბჭოთა ადამიანებს ესაჭიროებათ მშვიდობა, რათა ააშენონ კომუნიზმის ნათელი შენობა, რათა კიდევ უფრო ლამაზი გახადონ ჩვენი დიდი სამშობლო. ამასთან საბჭოთა ადამიანები ყველას გასაგონად აცხადებენ, რომ მათ ვერ დააშინებს ატომური იარაღი და ომის გამჩაღებელთა მუქარა. საბჭოთა კავშირის ხალხები მზად არიან ყოველ მომენტში გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ აგრესორს.

საბჭოთა ხალხი მოითხოვს, რომ ატომის ენერგია ემსახურებოდეს კაცობრიობის მშვიდობასა და პროგრესს. ჩვენი ქვეყანა უკვე იძლევა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების მაგალითს. ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ იგი მზად არის გადასცეს სხვა სახელმწიფოებს სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

ფიქრი და გრძნობა მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს მშვიდობას, მკაფიოდ არის გამოხატული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის ისტორიულ დეკლარაციაში, რომელიც მიმართულია ყველა ხალხისა და პარლამენტისადმი.

საქართველოს მშრომელები, ყველა საბჭოთა ადამიანთან, მთელი მსოფლიოს მილიონობით კეთილი ნების ადამიანთან ერთად, აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის, ილაშქრებენ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ.

საქართველოს მშრომელები — მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სხვადასხვა რელიგიური კულტის წარმომადგენლები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ. მათი ხმა უერთდება მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა ხმას, რომლებიც მოითხოვენ ატომური იარაღის აკრძალვას, მისი მარაგის მოსპობას და მისი წარმოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მშრომელები, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, ერთსულოვნად გამოეხმაურებიან მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწოდებას, ხელს მოაწერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას და თავისი ნების ამ გამოხატულებას განამტკიცებენ ახალი შრომითი წარმატებებით ჩვენი დიადი სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯის — შემდგომი აყვავებისათვის.

ქართველი ხალხი, რომელიც მტკიცედ არის დარაზმული საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის გარშემო, საბჭოთა კავშირის ძმძე ხალხთა მეგობრულ ოჯახში დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, მტკიცე რწმენით მიდის და კვლავაც ივლის მშვიდობის გზით.

ხალხები, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობით, მიაღწევენ ატომური იარაღის აკრძალვას და მისი წარმოების შეწყვეტას. ატომის ენერგია უნდა ემსახურებოდეს მშვიდობის მიზნებს და კაცობრიობის პროგრესს.

ხალხები უკან დაახევინებენ შავბნელ ძალებს, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ატომური ომი. მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს!

კულტურის მუშაკები ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ განსაზღვრეს ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გზები, სახალხო მეურნეობისა, რომლის საფუძველი იყო და არის მძიმე ინდუსტრია. პლენუმმა ამასთან დასახა მარცვლეულის წარმოების, როგორც მეცხოველეობის აღმავლობის გადამწყვეტი პირობის, შემდგომი გადიდების და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანა.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ეს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დიდ როლს აკისრებს ჩვენი რესპუბლიკის კულტურის მუშაკებს და ინტელიგენციას. ისინი მოწოდებული არიან ყოველმხრივ დაეხმარონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს იანვრის პლენუმის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის და მათი შესრულებისათვის მასების დარაზმვის საქმეში.

იანვრის პლენუმის დადგენილება კულტურის დარგის მუშაკებისაგან მოითხოვს კიდევ უფრო გააუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად, გახადონ იგი კონკრეტული, დამაჯერებელი, მჭიდროდ დაუკავშირონ კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის, თვითეული ბრიგადის ამოცანებს. პრესა, რადიო, კინო, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართულ უნდა იქნას ერთი ამოცანისაკენ — დახმარება გავუწიოთ სოფლის მშრომელებს იმაში, რომ წარმატებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა, რომელიც ჩვენმა პარტიამ დასახა.

სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკების და ლექტორიუმების მუშაობის მიღწევები დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმაზე, თუ როგორ მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ისინი კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის ცხოვრებასთან. ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდი არიან კულტურის მოწინავე მუშაკები, რომელთა საქმიანობა მისაბაძია. სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეები კარგად იცნობენ რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს ელენე მირიანაშვილს, რომელიც ხშირად გამოდის ლექციებით კოლმეურნეთა წინაშე. იგი წინასწარ ეცნობა კოლმეურნეობის, ცალკეული ბრიგადების მუშაობის მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, თავის ლექციაში ფართოდ იყენებს ფაქტებს ადგილობრივი ცხოვრებიდან, რაც უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის ლექციას, ამავე დროს ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, რაზმავს კოლმეურნეებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

განუწყვეტლივ იზრდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება. კულტურის დარგის მუშაკთა მოვალეობაა ყოველდღიურად დაეხმარონ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ახალი ტექნიკის დაუფლებაში. სოფლის ბიბლიოთეკა უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ იშოვოს ახალი მანქანის ტექნიკური სახელმძღვანელო, მოაწყოს მკითხველთა კონფერენცია ბრიგადაში, ფერმაში, მათთან, ვინც უშუალოდ უნდა აითვისოს ახალი მანქანა. კლუბის მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და შექმნან ახალი ტექნიკის შემსწავლელი წრეები, მოაწყონ კოლმეურნეებისათვის ლექციები, საუბრები, ტექნიკური და სასწავლო ფილმების ჩვენება. ქ. გურჯაანის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის მუშაკები ნაკლებად ერკვეოდნენ ელექტროდენის გამოყენებით ინკუბატორში ნორმალური ტემპერატურის დაყენების საქმეში, რის შედეგად ფრინველის გამოჩეკა 59 პროცენტს შეადგენდა. გორკის სახელობის სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკები დაეხმარნენ მათ ამ საკითხზე სპეციალური სახელმძღვანელოთი, რის შესწავლის შედეგად საინკუბატორო სადგურში მიღწეულია გამოჩეკის 84 პროცენტი. აღნიშნული ბიბლიოთეკა სისტემატურ დახმარებას უწევს რაიონის კოლმეურნეობებს, მეცხოველეობის ფერმებს საჭირო ლიტერატურით.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კარგ მაგალითს გვაძლევს თელავის რაიონის აკურის სასოფლო კლუბი. აქ მოაწყეს მოძრავი ბიბლიოთეკა სპეციალურად მწყემსებისათვის, ჩატარდა ლექციები და საუბრები მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე. მოეწყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შეხვედრა კოლმეურნეებთან.

ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იანვრის პლენუმის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად კიდევ უფრო გააუმჯობესეს კულტურული მომსახურება მეცხოველეობის მუშაკებთან.

აღნიშნულის მიუხედავად, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს თავიანთი მუშაობა არ გარდაუქმნიათ იანვრის პლენუმის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ეს პირველ რიგში ითქმის ახმეტის, წალკის და ახალქალაქის რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მომთაბარე მწყემსებთან. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მწყემსთა კულტურული მომსახურებისათვის, მათთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ საძოვრებზე ლენინგორის რაიონის სოფელ სალხიილის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ოთხი თვეა ჟურნალ-გაზეთები არ მიუტანიათ და არც ერთი ლექცია და საუბარი არ მოწყობილა.

გაძლიერებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტექნიკური პროპაგანდის შემდგომ გაშლას, განსაკუთრებით კი იმას, რომ კონკრეტულად, დამაჯერებლად ვუჩვენოთ გზები მოწინავეთა გამოცდილების და მეცნიერების უახლესი მიღწევების დანერგვისა მოცემული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან მტს-ის პრაქტიკულ საქმიანობაში.

კულტურის მუშაკებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა წარმატებით წყდება მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში. ეს იმას ნიშნავს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნას მათთან.

სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის კულტურის დაწესებულებათა შეფობას სოფლის კულტურული დაწესებულებებისადმი. საშეფო ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდნენ კოლმეურნეობებში მხატვრული ბრიგადების გაგზავნით, არამედ მათ სოფლისა და საკოლმეურნეო კლუბებს უნდა გაუწიონ ყოველდღიური შემოქმედებითი და მეთოდური დახმარება.

საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის საქმეში მოპოვებული მიღწევების პროპაგანდა და წარმოებაში დანერგვა, რისთვისაც უნდა გამოიცეს ლიტერატურა, პოპულარული ბროშურები ზოოტექნიკის, საკვების წარმოების, მეცხოველეობის მექანიზაციის შესახებ, პლაკატები, კინოფილმები.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია წარმატებით შეუდგნენ ბრძოლას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის. რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა არმია მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მწერალ და კინორეჟისორ ა. პ. დოვჟენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით და კინოხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მწერალი და კინორეჟისორი ალექსანდრე პეტრეს-ძე დოვჟენკო დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 21 მარტი.

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი

გუშინ, 23 მარტს, თბილისში რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე სსრ კავშირში ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობისა და მშვიდობის მომხრეთა სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატების არჩევის საკითხები.

სხდომას, გარდა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წევრებისა, ესწრებოდნენ საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მეცნიერები, ინჟინრები, მსახიობები, პედაგოგები, ექიმები, დიასახლისები, რელიგიური კულტის მსახურნი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა უ. მ. ჯაფარიძემ.

მოხსენება სსრ კავშირში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ა. ხორავამ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორ თვეზე მეტი ხნის წინათ გამოქვეყნდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა, რომელიც მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურა ასობით მილიონი კეთილი ნების ადამიანი, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას.

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პლენუმის რეზოლუციას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში მოეწყოს ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. ეს რეზოლუცია გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ფიქრსა და გრძნობებს, მათ მხურვალე მისწრაფებას დაიცვან მშვიდობის წმიდა საქმე, ჩაშალონ ახალი ომის გამჩაღებელთა გეგმები.

საბჭოთა ხალხი, რომელიც შემოქმედებითს შრომას ეწევა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს თავის ნათელ მომავალს — კომუნიზმს, მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის. იგი სულითა და გულით უჭერს მხარს მშობლიური საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც გამოხატა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიული დეკლარაციით. ამ პოლიტიკის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვა, კოლექტიური უშიშროება, სხვადასხვა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა, ხალხთა მეგობრობა და ურთიერთგაგება.

იბრძვის რა მშვიდობისათვის, საბჭოთა ხალხს არ ეშინია ომის გამჩაღებელთა პროვოკაციებისა, იგი მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა სამშობლოს უშიშროების უზრუნველსაყოფად.

—ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, — აცხადებს ამხ. ხორავა, — ერთსულოვნად გამოეხმაურებიან საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწოდებას და ხელს მოაწერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. ამით ისინი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას იბრძოლონ მშვიდობისათვის, ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნ. ა. ჯავახიშვილს.

საბჭოთა ქალები, — თქვა მან, — მთელ ჩვენ ხალხთან ერთად კვლავაც თანმიმდევრულად და მტკიცედ დაიცავენ მშვიდობის საქმეს, თავდადებული შრომით განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ნ. მაღლაფერიძე.

პროფკავშირის წევრები, — თქვა მან, — მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის საქმის განმტკიცებაში, ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სიტყვას ამბობს აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი.

— საბჭოთა კავშირმა, — აღნიშნავს აკადემიკოსი ბერიტაშვილი, — პირველმა უჩვენა კაცობრიობას, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანი მიზნით გამოვიყენოთ ატომის ენერგია, რომელიც დიდი ძალაა საზოგადოების პროგრესისა და აყვავებისათვის ბრძოლაში. ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ ატომური იარაღის აკრძალვას. ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების მომავალი კამპანია.

აგრესორების მზაკვრული ხრიკების წინააღმდეგ მრისხანე პროტესტითა და მშვიდობის საქმის გამარჯვებისადმი ურყევი რწმენით იყო გამსჭვალული თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის შემკეთებელ-მექანიკური განყოფილების უფროსის რ. პ. საველიევას სიტყვა.

მშვიდობის დაცვის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ი. არშბამ განაცხადა, რომ აფხაზეთის მშრომელები სიხარულით გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწოდებას და ხელს მოაწერენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, ისინი მთელ ძალღონეს მოახმარენ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლას.

ახალგაზრდობის ფიქრები და გრძნობები გამოხატა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

— საბჭოთა ახალგაზრდობა, — თქვა მან, — ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალე მოწონებით შეხვდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამებიან ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

ტრიბუნაზეა სინოდის თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს ომის მომხრეთა მზაკვრულ მოქმედებას, რომლებიც ადგენენ ატომური იარაღის გამოყენების გეგმებს. ეკლესიის მსახურნი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ერთსულოვნად მოაწერენ ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

სიტყვა ეძლევა მშვიდობის დაცვის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს მწერალ ზ. ო. ლორიას.

— საბჭოთა ადამიანები, — ამბობს იგი, — მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან. მშვიდობის ძალები ყოველდღიურად იზრდებიან. ისინი აიძულებენ იმპერიალისტ აგრესორებს უკან დაიხიონ.

— კოლმეურნე გლეხობამ, — თქვა გორის რაიონის სოფელ შავშვების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ი. ბუჟიაშვილმა, — იცის, რომ მშვიდობისათვის საჭიროა თავდადებული შრომით ბრძოლა. იგი არ დაზოგავს ძალღონეს, რათა ღირსეულად განახორციელოს პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ს. გ. გაბარაევმა ილაპარაკა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი ბანაკის ძალების უძლეველობაზე, ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მეთაურობენ, ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებაზე იბრძოლოს მშვიდობისათვის. ამ მტკიცე გადაწყვეტილებას ერთსულოვნად იზიარებენ სამხრეთ ოსეთის მშრომელებიც.

სიტყვა ეძლევა პოეტს, სტალინური პრემიის ლაურეატ გ. გ. აბაშიძეს. იგი ლაპარაკობს მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის ნება-სურვილზე დაიცვან მშვიდობის სამართლიანი საქმე, ხელი შეუშალონ აგრესორების დანაშაულებრივი ზრახვების განხორციელებას და დასასრულ კითხულობს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლებისადმი მიძღვნილ ლექსს.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. გ. ბეროიანი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ი. მ. ჩხეიძე, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. მამედოვი, ქუთაისის ლითოპონის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი რ. დ. კახაძე.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მოწყობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში.

პლენუმმა აირჩია მშვიდობის მომხრეთა სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატები. დელეგატებად არჩეული არიან: აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, მშვიდობის დაცვის აფხაზეთის კომიტეტის თავმჯდომარე ს. ი. არშბა, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ი. ბაქრაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ფ. ზ. გაგლოევი, თბილისის 36-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ა. გამცემლიძე, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ა. ჯავახიშვილი, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახალხო მხატვარი უ. მ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ი. დუმბაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ა. კ. ჟიჟიაძე, ქუთაისის ლითოპონის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი რ. დ. კახაძე, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ფოლადმდნობელი ზ. დ. კვახაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სკოლების განყოფილების გამგე თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, პოეტი-აკადემიკოსი გ. ნ. ლეონიძე, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. მამედოვი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი-კათოლიკოსი მელქისედეკი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. მ. როგავა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის შემკეთებელ-მექანიკური განყოფილების უფროსი რ. პ. საველიევა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ხორავა.

შემდეგ წაიკითხეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა ხალხებისადმი. დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მამაცური, დიდი ჰუმანიზმით გამსჭვალული სიტყვები მიმართვისა, რომელიც მოუწოდებს ყველა პატიოსან ადამიანს იბრძოლოს ატომური ომის საფრთხის მომზადების წინააღმდეგ, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

პლენუმის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

(საქტაგი).



მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა მოხსენებით გამოდის პლენუმზე. სხდომის დარბაზში. პლენუმის მონაწილენი ხელს აწერენ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

ფოტო ვ. გინზბურგისა

სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის

ბოლნისელი კოლმეურნეები იწვევენ ერედველ კოლმეურნეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები და ამ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მუშაობის საბრძოლო პროგრამაა. კომუნისტური პარტიას თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია მძიმე ინდუსტრიის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შეადგენს ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას. საჭიროა დაუღალავად ვიშრომოთ, სწრაფად და მთლიანად ავამოქმედოთ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვები პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობას ყველა დარგში. დროულად შესრულა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა გეგმა. 208 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობის გეგმა 125 პროცენტით გაანაღდა. გადაჭარბებით არის შესრულებული ბოსტნეულის, ბაღჩეულის და საკვები კულტურების მოსავლიანობის დავალებები.

სერიოზული წარმატებაა მოპოვებული მეცხოველეობაში. გაიზარდა პროდუქტიულობა, გაუმჯობესდა ჯიშიანობა. გასულ წელს თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობის გეგმა 126 პროცენტით შევასრულეთ. მწველავმა ე. მანაგაძემ მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღო 2.256 ლიტრი, ხოლო პ. სეანიძემ — 1.900 ლიტრი. ძროხა „როზანამ“ მოიწველა 3.500 ლიტრი, ხოლო ძროხა „ზრონზამ“ 3.200. თვითეულ დედალორზე მიღებულია 14 გოჭი, გადიდდა მეფრინველეობის პროდუქტიულობა. მეცხოველეობის საკუთარი შემოსავლიდან 1953 წელთან შედარებით შარშან სახელმწიფოს 62 ტონით მეტი რძე და 53 ტონით მეტი ხორცი ჩავაბარეთ.

კოლმეურნეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი სადგომების მშენებლობას. გასულ წელს ავაშენეთ 100 სული ძროხისათვის სტანდარტული საძროხე. მთლიანად მექანიზებულია ყველა შრომატევადი სამუშაო. ავაშენეთ აგრეთვე სტანდარტული საქათმე და ცხვრის ფარეხი. შევქმენით მტკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის; თვითეულ სულ საფურაჟე ძროხაზე დავაგროვეთ 4 ტონა სილოსი, 15 ცენტნერი უხეში და 5 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები, რამაც ხელი შეგვიწყო პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების საქმეში.

მაგრამ რაც გავაკეთეთ, სრულიად არ არის საკმარისი. ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების ყველა რეზერვს. კარგად გვესმის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის დიდი მუშაობა მოგველის. მოკლე დროში მეცხოველეობა უნდა გავხადოთ კოლმეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგად. ამ საბრძოლო დავალების შესრულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების გაშლებას და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ყოველთვის გულდასმით ვადევნებთ თვალყურს თქვენი კოლმეურნეობის წარმატებებს. ამიტომ ჩვენი გულწრფელი სურვილია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ თქვენი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, ჩვენი დიდი სურვილია გავეცნოთ თქვენი კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებს და მათს გამოცდილებას სოფლის მეურნეობას ყველა დარგში, განსაკუთრებით თქვენს შესანიშნავ გამოცდილებას პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში.

ვებმებით რა თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენი მხრივ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

წარმატებით დავამთავროთ პირუტყვის გამოზამთრება, მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი, 1955 სამეურნეო წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა შევასრულოთ 110 პროცენტით, ცხვრისა — 120 პროცენტით, ღორისა — 130 პროცენტით, ქათმისა — 120 პროცენტით, ძროხის წველადობის 1955 წლის გეგმა შევასრულოთ 150 პროცენტით, ერთ ცხვარზე მატყლის გამოსავლიანობის დავალება — 125 პროცენტით, თვითეულ დედალორზე მივიღოთ 14 გოჭი, თვითეულ ქათამზე — 80 კვერცხი;

მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით დავთესოთ 560 ჰექტარი სიმინდი, აქედან 160 ჰექტარი სასილოსედ, დავთესოთ 260 ჰექტარი მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები, 65 ჰექტარი ძირხვენები იმ ვარაუდით, რომ მომავალ სამეურნეო წელს თვითეული საფურაჟე ძროხისათვის დავამზადოთ 5 ტონა სილოსი, 20 ცენტნერი უხეში და 7 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები. 130 სული ძროხა გადავიყვანოთ ზაგურ-ბანაკურ კვებაზე, მუშაობაში ფართოდ დავნერგოთ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება და საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები, ვიბრძოლოთ პირუტყვის ჯიშიანობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, რძის, მატყლის, ტყავის დამზადების 1955 წლის სახელმწიფო გეგმა შევასრულოთ 1 ოქტომბრისათვის. ამავე თარიღისათვის მთლიანად დავამთავროთ ახალი სადგომების მშენებლობა და ძველი ფერმების შენობათა რემონტი.

გთხოვთ მიიღოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა. გვესტუმრონ თქვენი წარმომადგენლები, გაეცნონ ჩვენს მუშაობას, გაგვიზიარონ თქვენი გამოცდილება. ამასთან ჩვენი გულითადი სურვილია ჩამოვიდეთ თქვენთან, საფუძვლიანად გავეცნოთ თქვენი კოლმეურნეობის მდიდარ გამოცდილებას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

მიიღეთ ჩვენი გულთბილი სალამი და საუკეთესო სურვილები. გისურვებთ ახალ წარმატებებს შრომაში.

სოციალისტური შეჯიბრების არბიტრად ვასახელებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს გაზეთ „კომუნისტს“.

ველით თქვენს პასუხს.

გ. კუხალეიშვილი — ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ლ. რეხვიაშვილი** — პარტბიუროს მდივანი, **მ. ბერძენაძე** — ფერმის გამგე, **ფ. ბეზნესუკი** — ზოოტექნიკოსი, **დ. სანიკიძე** — ალკკ ორგანიზაციის მდივანი, **ი. უზრეხელიძე, გ. ასანიძე, ს. ბერძენაძე** — ბრიგადირები.

შრომადღეზე—49 მანეთი

გორი. (საკ. კორ.). შარშან სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 6.112.125 მანეთს მიაღწია. მარტო მეხილეობიდან მიიღეს 4 მილიონი მანეთი. მერეთელმა კოლმეურნეებმა 105 ჰექტარი მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 47 ცენტნერის ნაცვლად 126 ცენტნერი ვაშლი მოკრიფეს.

1954 წელს გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეობამ განაწილდა 46 მანეთი. გარდა ამისა, მოწინავე კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მიეცათ 3 მანეთი.

კოლმეურნეობის მეხილეობის ბრიგადირის მიხეილ ჯავახის ოჯახს მარტო ფულად 66.605 მანეთი ერგო, მერგოლურ თამარ გუდაძისას — 39.616, კოლმეურნე ზაქარია ელიაშვილისას — 41.537 მანეთი.

ახალგაზრდა პატრიოტთა ხმა

წერილების მიმოხილვა

ათეულ ათასობით მექანიზატორი, აგრონომი, ინჟინერი, მუშა, მოსამსახურე, აგრეთვე მცირემიწიანი რაიონების კოლმეურნეები პარტიის მოწოდებით გაემგზავრნენ და დასახლდნენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში.

სამშობლოს ამ მგზნებარე პატრიოტთა რიცხვში არის ჩვენი რესპუბლიკის ასობით ახალგაზრდაც, რომლებიც თავიანთი სურვილით წავიდნენ შორეულ ყაზახეთში, ციმბირში სამუშაოდ.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ახალი მიწებიდან მოსდის პატრიოტთა წერილები, რომლებშიც ისინი მოგვითხრობენ თავიანთი მუშაობის პირველ ნაბიჯებზე.

— ყაზახეთი თუმცა შორს არის, მაგრამ საუცხოო მხარეა, — გვწერს **შ. თაყნიაშვილი**. — მოკლე ხნის მანძილზე აქ დიდი ცვლილებები მოხდა, მაგრამ მომავალში უფრო მეტი გარდაქმნებია მოსალოდნელი. თქვენ ნახეთ, რა იქნება იგი სამი წლის შემდეგ, როცა ზაღნარად იქცევა და მჭიდროდ დასახლდება ნახევრადუკაცრიელი ადგილები! მე ამჟამად ვსწავლობ ტრაქტორისტთა კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ შევუდგები ყამირის ათვისებას. უკვე ოჯახს მოვეკიდე — შევირთე ჩემსავით ყამირის ასათვისებლად ჩამოსული ქალიშვილი ვალია ფეოდოროვა, რომელიც ტრაქტორისტად მუშაობს. ჩვენ საამურად და კულტურულად ვცხოვრობთ საკუთარ ბინაში. საბჭოთა მეურნეობაში მოგვიწყეს ბიბლიოთეკა, კლუბი, მაღაზიები... ჩამოდით ჩვენთან, საქართველოს ახალგაზრდებო, საკუთარი თვალით ნახეთ, თუ რა ძალა შეგვწევს, მოკლე ხანში როგორ მოვაწყეთ ახალდაარსებული საბჭოთა მეურნეობა.

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში შემოვიდა სათნო სახის მანდილოსანი. მან გადმოგვცა წერილი და გაზეთ „Медицинский работник“-ის გასული წლის 18 მაისის ნომერი. „წერილს შორეული ყაზახეთიდან იწერება ჩემი შვილი რევაზი, ხოლო ამ გაზეთში მის პატრიოტულ საქმეებზეა მოთხრობილი“.

— მალე ერთი წელი შესრულდება, — იწერება **რევაზ დუღაშვილი**, — რაც ჩემს თანამემამულეთა დიდ ჯგუფთან ერთად ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის სოფელ ჯამბულში ჩამოვედი მეუღლით. მანამდე ჩვენ ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს საექიმო პუნქტში ვმუშაობდით და კარგადაც ვცხოვრობდით. პირველ ხანებში აქ ადვილი არ იყო ცხოვრება ახალდასახლებულთათვის, მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდა. ახლა ჩვენ ორი ოთახი გვიჭირავს თავისი მოწყობილობით. მეუღლესთან ერთად ვმუშაობ საექიმო უბანში, რომელიც ორ კოლმეურნეობას — ჯამბულისა და მარქსის სახელობის კოლმეურნეობებს ემსახურება. ჩვენ დაუცხრომელი ენერგიით ვართ აღსავსე, ფხიზლად ვიცავთ ყამირ და ნასვენ მიწებზე მოიერიშე ადამიანთა ძვირფას სიცოცხლეს.

ერთი წლის წინ **შ. მამინაშვილი** ტყიბულის ლენინის სახელობის შახტში მუშაობდა მეზიგედ. იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას ყამირზე სალაშქროდ წასვლის შესახებ და კომკავშირული საგზურით გაემგზავრა ჩრდილოეთ ყაზახეთში სამუშაოდ. ადგილზე ჩასვლისთანავე მას დაავალეს ავტომანქანის მძღოლობა, რასაც წარმატებით ასრულებს. ამასთან ერთად მან თავი გამოიჩინა როგორც კარგმა საზოგადოებრივმა მუშაკმა. აირჩიეს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად და კომკავშირის რაიონული კომიტეტის წევრად.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში შ. მამინაშვილი მხურვალედ მოუწოდებს საქართველოს კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს გაემგზავრონ ყამირზე სალაშქროდ, არ შეუშინდნენ სიძნელეებს, თავდადებული შრომით კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

— გაზეთები ხშირად წერენ და რადიოც ბევრს გადმოსცემს ყაზახეთის ყამირ და ნასვენ მიწებზე ამჟამად გაჩაღებული მუშაობის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვაა, როცა უშუალოდ გაეცნობი ყველაფერს, რაც აქ ხდება, — იწერება **ლ. დუღუნიშვილი**.

— ვის შეუძლია, თუ არა საბჭოთა პატრიოტიზმის ტრადიციებზე აღზრდილ კომკავშირს, დაეუფლოს ამ თვალუწვდენ მიწებს. შარშან ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ მომავალში უფრო მეტის გაკეთება მოგველის. და ჩვენც, მრავალი ერის შვილები, მზად ვართ შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის ეს დავალებაც.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება საყოველთაო-სახალხო საქმეა. იგი, ისევე როგორც მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიება, მიმართულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. ამიტომ ყოველდღიურად სულ უფრო მძლავრად გაისმის ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად წასულ პატრიოტთა მძლავრი ხმა — მოიპოვონ ახალი მიღწევები სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

საქდესი შეტყობინება

იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ეგრეთწოდებული „დოკუმენტები“ სამი მთავრობის — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობების მეთაურთა ყირიმის კონფერენციისა, რომელიც გაიმართა 1945 წლის თებერვალში, იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა, დაიმოწმა რა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა თითქოს „დათანხმდა გამოექვეყნებინათ იალტის კონფერენციის საიდუმლო მასალების კრებულის სამი დოკუმენტი“. იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა შემდეგ განაცხადა, რომ სსრ კავშირი „დათანხმდა გამოქვეყნებაზე, როცა მას შეეკითხნენ შარშან დიპლომატიური არხების საშუალებით“.

საქდე'ს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ეს ცნობა, რომელიც იმოწმებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებას, არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც ცნობილი გახდა, იალტის კონფერენციის დოკუმენტების გამოქვეყნების საკითხზე არავითარი მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ ყოფილა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამ დოკუმენტების გამოქვეყნების საკითხი სსრ კავშირის მთავრობის წინაშე არ დაუსვამს.

მეელმავლეები შეჯიბრების სათავეში

თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეები სამაყო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვების შემდეგ ერთსულოვნად ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მარტისა და აპრილის განმავლობაში იკისრეს მიაღწიონ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს.

თბილისელმა მეელმავლეებმა იანვარში, თებერვალსა და მარტის 17 დღეში გადაიყვანეს 727 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 241.992 ტონა სახელმწიფო ტვირთი. მათ იკისრეს 1 მაისამდე ნორმის გადამეტებით გადაზიდონ კიდევ 150.000 ტონა ტვირთი, ტექნიკური სიჩქარე გაზარდონ საათში 3 კილომეტრით, მემანქანეთა შრომის ნაყოფიერება იანვარ-თებერვლის დონესთან შედარებით აამაღლონ 16 პროცენტით და ტონა ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება შეამცირონ 1,5 პროცენტით.

გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება იკისრეს მოწინავე მეელმავლეებმა ა. მაჭარაშვილმა, შ. ლორიამ, გ. ჩახუნაშვილმა, ზ. ხაჩიძემ, ი. ჯიმშკარიანმა და სხვ.

აგიტატორის გამოცდილებიდან

აგიტპუნქტი მეცხოველეობის ფერმასთან

პირველი ნაბიჯები

პარტბიუროს სხდომიდან ალექსანდრე კიკნაძე ჩაფიქრებული გამოვიდა. აგიტატორად დაამტკიცეს, უარს როგორ იტყოდა ამ საპატიო მოვალეობაზე. მაგრამ ფიქრები მაინც არ ასვენებდა. დღემდე ბევრი აგიტატორი ყოფილა მეძროხეობის ფერმაში, მაგრამ მონდომებით არცერთს არ უმუშავნია.

...ეს იყო შარშან თებერვალში. სააგიტაციო მუშაობის ჩამლამ გავლენა მოახდინა ფერმის მდგომარეობაზე. სამარცხვინოდ ჩამორჩებოდნენ საკვების დამზადებაში. მეძროხეობის ფერმის მეორე ბრიგადა პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების დავალებას ვერ ასრულებდა.

ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის თოვლ-ჭყაპმა უფრო გააძნელა ტრანსპორტის მოძრაობა. ალექსანდრე ცხენზე შეჯდა და მეცხოველეობის ფერმისაკენ გასწია.

— აი ახლა ფერმაში მივდივარ, — ფიქრობდა იგი. — როგორ მოვიქცე, რით დავიწყო? ვთქვა, ახლა მე ვარ აგიტატორი. მაგრამ წინანდელ აგიტატორზე გულნატკენი მწყემსები მეც ხომ უნდობლად შემომხედავენ.

პირველ დღეებში ალექსანდრემ ორიოდე მხატვრული წიგნის ჩამოტანა მოასწრო. პარტბიუროს მდივანს შეუთვალა: ფერმაში წითელი კუთხე აღადგინეთ და ლიტერატურა მოგვაშველეთო. ფერმის გამგის ოთახში რადიო მონახა. აკუმულატორი დაცლილიყო, დამტვერიანებული მიმღები დუმდა. იმ ხანებში ფერმაში პარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი დ. ლაპიაშვილი იმყოფებოდა. ალექსანდრემ მას აკუმულატორის შოვნაში დახმარება სთხოვა და მდივანმაც თხოვნა აუსრულა.

...საღამო ხანი იყო. მწყემსებმა საქონელი მოწველეს, დააბინავეს და ახლა ჩვეულებრივად დასაძინებლად ემზადებოდნენ. ალექსანდრე წითელ კუთხეში ტახტზე ჩამომჯდარიყო და ერთ მწყემსს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ უკითხავდა. კითხულობდა ხმამაღლა. ოთახში მკაფიოდ გაისმოდა მისი ხმა. დასაწოლად გამზადებული მწყემსები ჯერ მეორე ოთახიდან უგდებდნენ ყურს. შემდეგ ერთმა მწყემსმა ფეხსაცმელში ჩაჰყო ფეხი და წითელ კუთხეში შევიდა. იქაურობა ეუცნაურა. ოთახი ახლებურად მოეწყოთ, პლაკატებითა და სურათებით მოერთოთ, კუთხეში გაწმენდილ-გასუფთავებული რადიომიმღები იდგა. მას სხვა მწყემსებიც მოჰყვნენ... და მალე ოთახი ხალხით გაივსო.

აგიტატორი უბრალოდ როდი კითხულობდა, ყოველ საინტერესო ამბავზე ჩერდებოდა, მწყემსებს გადახედავდა, უხსნიდა, განუმარტავდა მთიელების მაშინდელ ცხოვრებას. ძველ ამბებს მოხერხებულად აკავშირებდა დღევანდელობასთან, მოუთხრობდა სამგორსა და შირაქში დასახლებულ, ლამაზ კოტეჯებში მცხოვრებ მთიელებზე, მათს შრომით საქმიანობაზე, შეძლებულ ცხოვრებაზე. მოიხსენია ზემო ქედში ახლახან ჩამოსახლებული ხევსურის უ. არაბულის ოჯახი, რომელმაც 600-მდე შრომადღე გამოიმუშავა და 6 ტონა ხორბალი მიიღო.

— საზღვარგარეთის ამბებიც გეცოდინება, სიკეთე დაგვდე და გვიამბე, — სთხოვა შუახნის მწყემსმა.

ალექსანდრემ საათს დახედა.

— რა გაეწყობა, თუ კი მავალებთ, უარს როგორ გეტყვით!

რამდენიმე ხნის შემდეგ აგიტატორმა რადიომიმღები ჩართო.

— „ლაპარაკობს თბილისი, მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები!“ — მოისმა დიქტორის მკაფიო ხმა. მწყემსები სმენად გადაიქცნენ.

მთავარია მწყემსებთან მუშაობა

შარშან ხანგრძლივ და სუსხიან ზამთარში ბევრ ბრიგადას დააკლდა საკვები. დიდი რაოდენობით დაჯანდაგდა ზემომაჩხაანელთა პირუტყვი. მაგრამ სულ სხვა სურათი იყო მეძროხეობის მეორე ბრიგადაში, სადაც აგიტატორად ა. კიკნაძეა. ამ ბრიგადას საკვები არ დაჰკლებია.

პირველ ხანებში ცალკეული მწყემსები ზარმაცობდნენ, დაუდევრად უვლიდნენ პირუტყვს. ალექსანდრე უშუალოდ მწყემსებთან წავიდა საძოვრებზე. ერთხელ, როცა „ხმელ მთას“ ფერდობს მიუახლოვდა, დაინახა, რომ მწყემსი ზურაბ შანშიაშვილი გამოქვაბულის ძირში მყუდროზე წამოწოლილიყო. ქვალორღით სავსე ფერდობზე პირუტყვი ტრიალებდა, ამაოდ ეძებდა საკვებს.

— ზურაბ, გაიღვიძე, არა გრცხვენიან?

მწყემსი გონს მოვიდა. ამრეზილად შეხედა ალექსანდრეს.

— აგიტატორი ხარ, თუ ფერმის გამგე, ვეღარ გამიგია! — უკმაყოფილოდ თქვა მან.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ადამიანს სინდისი უნდა ჰქონდეს. ისა სჯობს, პირუტყვს მოვუაროთ, აგერ მინდორში გადავრეკოთ.

პირუტყვი მინდორში რომ გადარეკეს, აგიტატორმა გვერდით დაისვა ზურაბი და დაბეჯითებით ესაუბრა მეცხოველეობაზე, პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე. ალექსანდრე ყველაზე მეტად იმან განაცვიფრა, რომ მეორე დღიდან ზურაბი ფერმაში აღარ ჩანდა.

— სუსტი აგიტატორი ვყოფილვარ, — უთხრა თავის თავს ალექსანდრემ.

რამდენიმე დღის შემდეგ საძოვრებიდან სოფელში რომ ჩავიდა, აგიტატორმა ზურაბ შანშიაშვილის ოჯახში შეიარა. მეუღლე დაუხვდა სახლში, მას გამოესაუბრა.

— სად იქნება წასული?

— შეშის მოსატანად წავიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ...

ალექსანდრეს აღარაფერი უთქვამს. კოლმეურნეობის კანტორაში დაბრუნდა. მეორე დღეს შანშიაშვილის სახლის წინ შეშით დატვირთული ავტომანქანა გაჩერდა.

შინ დაბრუნებულ ზურაბს ცოლმა ყველაფერი უამბო. მწყემსმა თავისი დანაშაული იგრძნო, შერცხვა, ყურებამდე გაწითლდა... მეორე დღესვე საძოვრებზე დაბრუნდა.

გადიოდა დღეები, ზურაბი სრულიად გამოიცვალა. პირუტყვიც გამოკეთდა. ახლა ზურაბი 50 ხბოს უვლის, მზრუნველობას არ აკლებს.

უბის წიგნაკი

როცა აგიტატორი საძოვრებიდან კოლმეურნეობაში ბრუნდება, აუცილებლად კანტორაში შეივლის, უბის წიგნაკს ამოიღებს და შეუდგება შიგ ჩაწერილი შენიშვნების დაზუსტებას. ახლაც, უბის წიგნაკი რომ გადაშალა, ბუღალტერ გ. მჭედლიშვილს მიუბრუნდა და ჯაფარა ყოჩიაშვილის შრომადღეების დარიცხვის ბარათი მოსთხოვა.

— მართალი ყოფილა ჯაფარა, ორი დღის ნამუშევარი აკლია.

— ალბათ ბრიგადირს ცნობა არ წარმოუდგენია.

— ის კი პირიქით ამბობს.

ბრიგადირის მიერ წარმოდგენილი ცნობა კარგა ხანს ეძებეს, იპოვნეს: მოანგარიშეს სხვა ქაღალდებში ჩარჩენოდა. იანგარიშეს და ჯაფარ ყოჩიაშვილის შრომის წიგნაკში გამორჩენილი ნამუშევარი შეიტანეს.

— ამხანაგო ბუღალტერო, კარგი იქნება, თუ ფერმაში ჩამოხვალთ. მწყემსებს აინტერესებთ გაიგონ სამუშაოთა შესრულების ნორმები.

ბუღალტერიიდან გამოსული დიდხანს ელოდა პარტბიუროს მდივანს. სურდა მისთვის გაეცნო თავისი ჩანაფიქრი. მდივანი მოგვიანებით მოვიდა, მაგრამ ალექსანდრეს არ მოუსმინა. მაგისათვის არ მცალია, ბიუროსათვის ვემზადებიო. ალექსანდრეს ეწყინა. ეს პირველი შემთხვევა როდია, პარტბიუროს მდივანი რატომღაც ყოველთვის უგულოდ ხვდებოდა.

— თქვენ ყოველთვის ასე უგულოდ მხვდებით! — უსაყვედურა აგიტატორმა.

— ფიანდაზად გაგეგები! შენ, ჩემო ძმაო, ხუთიოდე მწყემსთანა ხარ აგიტატორი, მე კი რამდენი რამ მაქვს გასაკეთებელი... რა გინდა?

— ორიოდე ხელოსანი მოგვეცით და საშენი მასალით მოგვამარაგეთ, დანარჩენი ჩვენ ვიცით.

— კარგი, თუ კაცი ხარ, დიდი ფანტაზიორი კი ყოფილხარ.

ახლა კი ვეღარ მოითმინა ალექსანდრემ და ხმას აუწია. ლაპარაკზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ მამაიაშვილი შემოვიდა.

— რა ამბავია?

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჩარევამ საქმეს უშველა. მალე მეორე ბრიგადაში, პირუტყვის კულტურული ბინის მშენებლობა დაიწყეს.

შრომის ბარაქა

1954 წლის შემოდგომა იწურებოდა. ზემომაჩხაანელ კოლმეურნეთა ბეღლები ბარაქით და ხვავით გაივსო. მეძროხეობის ფერმის მეორე ბრიგადაც საამაყო მაჩვენებლებით შეხვდა მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებას, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.100 ლიტრი რძე მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 900 ლიტრისა. ნამატიც უკლებლივ შეინარჩუნეს.

ნოემბერში გაიმართა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. ალექსანდრე კიკნაძემ მოურიდებლად გააკრიტიკა პარტბიუროს უუნარო ხელმძღვანელი, რომელმაც ვერ შეძლო მეძროხეობის ფერმის ყველა ბრიგადაში გაეჩაღებინა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მიეღწია მეცხოველეობის აღმავლობისათვის. კრიტიკას სიტყვით გამოსულმა სხვა კომუნისტებმაც დაუჭირეს მხარი და არჩევნებში ყოფილი მდივანი გააშავეს.

აგიტპუნქტი მუშაობას შეუდგა

— ამხანაგო ალექსანდრე, რაიკომიდან ჩამოვიდნენ, გთხოვენ.

ალექსანდრემ ძროხის აცრა მოათავა და წითელი კუთხისაკენ გაეშურა. იქ პარტიის რაიკომის მუშაკი გ. ლომაშვილი და კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი გიგო ბოსტაშვილი დახვდნენ. გ. ლომაშვილს საინტერესო წიგნები ამოეტანა, როგორც მხატვრული, ისე აგიტატორის დამხმარე ლიტერატურა.

— ჩვენ გადავწყვიტეთ აგიტპუნქტი მოვაწყოთ მეცხოველეობის ფერმასთან, — თქვა გ. ლომაშვილმა.

— საუცხოოა, ეს დიდად შეუწყობს ხელს ფერმის მუშაობის გაუმჯობესებას.

მალე აგიტპუნქტი მუშაობას შეუდგა. მუხნარების ტევრს, იქ, სადაც მას მდინარე იორი ჩასდევს, მეცხოველეობის კულტურული ბინები და მწყემსების კაპიტალური საცხოვრებელი სახლები ამშვენებს. ლამაზი კოტეჯის აივანზე მოჩანს აბრა წარწერით: „აგიტპუნქტი“. აქ ერთმანეთს ხშირად ხვდებიან მეძროხეების, მეკამეჩეების, მეცხვარეების ფერმების აგიტატორები და მწყემსები. ივრის პირად ახლად გახსნილი აგიტპუნქტი მეცხოველეთა შორის სააგიტაციო მუშაობის ნამდვილი კერა გახდა. აგიტპუნქტთან შემოკრებილი აგიტატორები მაჩხაანელ მწყემსებს ღრმად განუმარტავენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. მწყემსები მტკიცე რწმენით და ერთსულოვანი დარაზმულობით შეუდგნენ იანვრის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლას.

— 12 ძროხა მაბარია, ყველა ჯიშიანია. ამ დღეებში ძროხა „კამეტანამ“ ორი ხბო მოიგო. ნამატი შევინარჩუნე და პირობას ვდებ ორივე გავზარდო. დღემდე თვითეულ ძროხას 8-10 ლიტრ რძეს ვწველიდი. ახლა ვკისრულობ 20 ლიტრამდე გავზარდო თვითეული ძროხის წველადობა, — ასე აცხადებს მეძროხეობის ფერმის მეორე ბრიგადის მწველავი ელენე ყოჩიაშვილი.

— მტკიცედ დავიცავ კვების რაციონს, მივაღწევ იმას, რომ არ მოკვდეს და არ დასუსტდეს არც ერთი სული პირუტყვი, — ამბობს ზოოტექნიკოსი ივანე ბოსტაშვილი.

ზემომაჩხაანელთა ფერმებში ახლა წარმატებით მიმდინარეობს დოლი. 100 პროცენტით შეინარჩუნონ ნამატი — აი რისთვის იბრძვიან მეცხოველეები.

აგიტპუნქტი და მის გარშემო შემოკრებილი აგიტატორები ერთსულოვნად რაზმავენ მწყემსებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ „ზაგოტზერნოს“ ქსელის მუშაობა

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის შეუნელებელი ზრუნვა პარტიამ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ყველა მუშაკის საბრძოლო საქმედ გამოაცხადა. რამდენიც არ უნდა გვქონდეს ახალი ტექნიკა, ნედლეული და ყოველივე, რაც საჭიროა სახალხო დოვლათის შესაქმნელად, წინსვლას ვერ მივაღწევთ, თუ უნარიანად არ გამოვიყენებთ მას შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

ამ წერილის მიზანია რამდენიმე მაგალითის მოყვანა იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სავალალო შედეგებამდე მივყავართ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ზრუნვის უგულებელყოფას და რა საუკეთესო შედეგს გვაძლევს, როდესაც ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები შეწყობილად მუშაობენ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად მასების დარაზმვაზე, უნარიანად იყენებენ ამ მხრივ ყველა შესაძლებლობას.

„ზაგოტზერნოს“ ქსელის მუშაკებს — მიმღები პუნქტების, ბაზების, საწყობების მუშაკებს პარტიამ და მთავრობამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე დააკისრეს. პური, როგორც ცნობილია, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების, კომუნიზმის მშენებელი სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. სწორედ ეს საქმე — პურზე მუშაობა, მისი შენახვა, მოვლა-პატრონობა და გაცემა ეკისრებათ „ზაგოტზერნოს“ სისტემის მუშაკებს. მათ უხდებათ დღეღამის განმავლობაში მიიღონ, განტვირთონ და დატვირთონ მრავალი და მრავალი ათეული ვაგონი პური, რაც რამდენიმე ათას ტონას აღემატება.

ვინც ამ სისტემის მუშაობის სპეციფიკას არ იცნობს, ითიქრებს — მაინც და მაინც რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ზაგოტზერნოს“ სისტემაში შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის თავის შეწუხებასო. მაგრამ აქ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ მაჩვენებელს, ვიდრე სხვა რომელიმე საწარმოში. მრავალი ასი კაცი მუშაობს „ზაგოტზერნოს“ პუნქტებში, ბაზებში. დიდი შრომა ხმარდება პურის მიღებას, მიწონვას, შენახვასა და მოვლა-პატრონობას. პურის ხვავს სჭირდება მუდმივი მეთვალყურე, აერაცია, გადაადგილება. ათობით და ზოგჯერ ასობით ვაგონის დატვირთვა და დაცლა დიდ შრომას მოითხოვს.

უნდა ითქვას, რომ ამ სისტემის მუშაკები სახელმწიფომ საუკეთესო მექანიზმებით აღჭურვა. მათს განკარგულებაშია ავტოდამტვირთავები, ტრანსპორტიორები, ამწევები, ახალი სისტემის სასწორები და სხვა ტექნიკა. მაგრამ ზოგან ამ ტექნიკას ჯეროვანი ნაყოფიერებით ვერ იყენებენ, აცდენენ და მამაპაპური წესით — ნიჩბებით მუშაობას ამჯობინებენ. ნიჩბებით მუშაობა, იწვევს არასაწარმოო ხარჯებს, თანხების უმიზნოდ ფლანგვას, ზარალს.

რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი ბაზაა „ზაგოტზერნოს“ დიდუბის ბაზა, რომლის ხელმძღვანელთა უხეირობის შედეგად (ყოფილი დირექტორი დ. ჩხიკვაძე) შარშან აქ გადახარჯეს 341.000 მანეთი. ასეთი ზარალი მიაყენეს ბაზის ხელმძღვანელებმა სახელმწიფოს იმის შედეგად, რომ უგულებელყვეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის შეუნელებელი ზრუნვის მნიშვნელობა.

ამ უზრუნველობის და უხეიროდ მუშაობის შედეგი იყო, რომ მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტმა 31,5 პროცენტს ძლივს მიაღწია. მაგალითად, ავტომტვირთავით მათ შარშან უნდა გადაემუშავებინათ რამდენიმე ათეული ათასი ტონა ხორბალი. სინამდვილეში კი გადაამუშავეს მთელი ფონდის მხოლოდ 1,3 პროცენტი, ხოლო დანარჩენი ხელით გადამუშავდა. ამის შედეგად, თუ ერთი ტონა ხორბლის გადამუშავება ბაზას უნდა დასჯდომოდა 41 კაპიკი, დაუჯდა 85 კაპიკი. ტრანსპორტიორს, რომელიც აქ არა ერთი, არამედ რამდენიმე აქვთ, 8 საათის განმავლობაში შეუძლია გადაამუშაოს იმდენი ხორბალი, რამდენსაც 20-30 კაცი ვერ გადაამუშავებს. ბაზაში ასეთი ტრანსპორტიორები უმოქმედოთ ჰქონდათ, ხოლო ხორბლის გადასამუშავებლად მუშებს ქირაობდნენ.

ასევე არადამაკმაყოფილებელი შედეგები ჰქონდათ შარშან და ვერც წელს გვიჩვენებენ მუშაობის გაუმჯობესების ნიშნებს სოხუმის, გორის, ახალციხის, ოჩამჩირის, ბათუმის, სტალინირის, მთელი რიგი სხვა ბაზები და პუნქტები, რომელთა ხელმძღვანელები ნაკლები წინააღმდეგობის გზით სიარულს ამჯობინებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით საზიანოა. მექანიზმების ასათვისებლად და მათი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო კვალიფიციური მუშაკები ადგილზე ცოტაა, ხოლო ახალი კადრების მომზადებას და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას ყურადღებას არ აქცევენ.

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ცოტას მუშაობენ ადგილი აქვს ჩამორჩენას აღრიცხვა-ანგარიშგებაშიც. არის სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევის, სოციალისტური საკუთრების მითვისება-დატაცების აღმაშფოთებელი ფაქტები. მაგალითად, სოხუმის ბაზაში 1955 წლის პირველი იანვრისათვის გაფლანგული იყო 1.903 ათასი მანეთი, დიდუბის ბაზაში — 868 ათასი მანეთი, წნორის ბაზაში — 504 ათასი მანეთი და ა. შ. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ანგარიშგებისა და აღრიცხვის მოუწესრიგებლობას „ზაგოტზერნოს“ სისტემის მუშაობაში დიდი არეულობა შეჰქონდა. არ ჩანდა ბრძოლა სახელმწიფო სახსრებისა და ქონების მომჭირნეობისათვის, არ ხორციელდებოდა „მანეთით კონტროლი“, დიდი იყო დებიტორული დავალიანება.

ყოველივე ეს გამოიწვია იმან, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ „ზაგოტზერნოს“ სისტემის მუშაკებს შორის პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევდნენ ბაზებისა და პუნქტების პარტიულ ორგანიზაციებს. ამას ემატება ისიც, რომ მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობას გულგრილად ეკიდებიან ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები. ამის შედეგად სუსტი იყო და არის შრომის დისციპლინა, რაც, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს „ზაგოტზერნოს“ მთელ მუშაობაზე. „ზაგოტზერნოს“ ქსელის ხელმძღვანელობას ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გააუმჯობესონ მუშაობა, გააჯანსაღონ აპარატი უღირსი ადამიანების თავიდან მოშორებით და უნარიანი მუშაკების დაწინაურებით, წახალისებით, მოწინავე ადამიანთა ინიციატივისათვის მხარდაჭერით. ამის მიღწევაში საჭირო იქნება ხელი შეგვიწყონ ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწოდებული არიან გადაჭრით გააძლიერონ მასებში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა.

სწორედ იქ, სადაც ეს მუშაობა ჯეროვნად არის დაყენებული, სამეურნეო შედეგებიც კარგი აქვთ.

გამართულად და კარგად მუშაობს „ზაგოტზერნოს“ მარნეულის ბაზის კოლექტივი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობენ დირექტორი ამხ. ჰ. შაბანოვი, მისი მოადგილე ამხ. ა. ხაჩატრიანი. ამ ბაზის კოლექტივმა გასულ წელს მოგვცა 129 ათასი მანეთი ეკონომია, მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი 133 პროცენტამდე აამაღლა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები 58 ათასი მანეთით შეამცირა.

ასევე კარგად მუშაობს ნავთლუღის ბაზის კოლექტივი, რომელსაც ამხ. თ. წულუკიძე ხელმძღვანელობს. გასულ წელს ამ ბაზაში ყველა შრომატევად სამუშაოთა 37 პროცენტი უნდა შესრულებინათ მექანიზმებით. ბაზას ხელმძღვანელებმა თავიდანვე დასახეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ამ დავალების პირნათლად განაღდებისათვის. შრომატევადი სამუშაოდან მექანიზმებით შესრულებულ იქნა 72 პროცენტი. ერთი ტონა პროდუქციის მრავალჯერადი გადამუშავება ბაზას წლის განმავლობაში 1 მანეთი და 21 კაპიკი დაუჯდა, თუმცა გეგმით პროდუქციის გამოშვების თვითღირებულება გათვალისწინებული იყო 3 მანეთი და 30 კაპიკი.

ამრიგად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ღონისძიებათა განხორციელებამ, კერძოდ, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებამ ერთი ტონა მარცვლეულის გადამუშავებაზე მოგვცა 2 მან. და 9 კაპ. ეკონომია. შესაძლებელი გახდა შრომატევადი სამუშაოებიდან მუშახელის განთავისუფლება სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. ამით გაწეულ იქნა 17.648 მანეთი ეკონომია და სახელმწიფომ ამ ბაზის კოლექტივისაგან დაგროვებად მიიღო 8.639.000 მანეთი.

კარგად მუშაობენ ნავთლუღელები წელსაც. იანვარსა და თებერვალში მათ მექანიზმებით შეასრულეს ყველა სამუშაოს 94 პროცენტი, რაც საუკეთესო მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ. ამ ორ თვეში ერთი ტონა პროდუქციის გამოშვების თვითღირებულება შემცირებულ იქნა 1 მანეთსა და 5 კაპიკამდე, რამაც ბაზას უკვე მისცა 22.000 მანეთი ეკონომია.

ახლა „ზაგოტზერნოს“ სისტემის მუშაკები ემზადებიან მოსავლის აღების სეზონისათვის, როდესაც მათ მოუხდებათ დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება, მოქნილობისა და ოპერატიულობის გამოჩენა. მთავარი მიზანი ის არის, რომ მოსავლის მიღებას შევხვდეთ სრული მზადყოფნით, გამართული მექანიზმებით, გამზადებული საწყობებით, ყველა იმ პირობის შექმნით, რაც საჭიროა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება შრომის ნაყოფიერების გადიდების საწინდარია, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა კარგი მუშაობის მთავარი მაჩვენებელია.

მ. ციხისთავი,
„ზაგოტზერნოს“ რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

თბილისი. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მფთილავი ა. გიგილაშვილი ყოველთვიურ დავალებებს 130-135 პროცენტით ასრულებს. ამავე დროს ასწავლის წარმოებაში ახალმოსულ მუშებს. სურათზე: მფთილავი ა. გიგილაშვილი (მარჯვენივ) ახალმოსულ ვ. ბაბუკოვას აცნობს საფთილავ მანქანაზე მუშაობას. ფოტო შ. გოქაძისა.

საწარმო ეხმარება სოფელს

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო კარგა ხანია შეფობას უწევს დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. ტრამვაელებმა მტს-ს აუგეს საწყობის ახალი შენობა, სახელოსნოებს გაუკეთეს კაპიტალური რემონტი, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დგომის ადგილას დააგეს ასფალტი, კაპიტალურად შეაკეთეს სახარატო და სამჭედლო დაზგები, ზეინკლებისათვის გააკეთეს სპეციალური მაგიდა, დაუმზადეს იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილები.

ამ დღეებში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გზების, ხიდების და მიწისქვეშა სამუშაოთა სამმართველოს კოლექტივებმა გადაწყვიტეს შეფობა გაუწიონ სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას. შეფები ფერმას აუშენებენ ახალ კეთილმოწყობილ საძროხეს, სასილოსე ორმოებს, მოაწყობენ საკვების მისაწოდებელ საჰაერო გზას, ავტომატურ სარწყულებლებს, ნაკელის გამოსატან ვიწროლიანდაგიან რკინიგზას, გააკეთებენ ელექტროგაყვანილობას.

ახალი მანქანები

თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დამამზადებელი ქარხანა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის უშვებს 7 სახის იარაღ-მანქანებს და მრავალ სათადარიგო ნაწილს. აქ მზადდება ვენახისა და ხეხილის შესაწამლი აპარატები, კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის დასამუშავებელი კულტივატორები, საბრუნავი გუთანი, ჩაის ფოთლის საჭრელი მაკრატელი და სხვ.

შარშან ქარხანამ გამოუშვა 6 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, ხოლო წელს გამოუშვებს 6.260.000 მანეთისას.

ქარხანამ აითვისა ვაშლის საჩრიავი ახალი მანქანის გამოშვება. აპრილის ბოლოსათვის გამოშვებულ იქნება 5 ცალი ასეთი მანქანა.

• • •

კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელმა ქარხანამ სოფლის მეურნეობისათვის დაამზადა 3.000 ცალი სათბური, რომლებიც უკვე გადაეგზავნა კოლმეურნეობებს. კიდევ დამზადდება 10.000 ცალი ასეთი სათბური.

წერილები რედაქციას

სკოლის მუშაკთა ღვიძლი საქმე

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი მოწოდებულია სკოლებთან და კომკავშირულ-პიონერულ ორგანიზაციებთან ერთად ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. თეატრის ვალია, მოზარდი თაობის იდეურ წრთობასთან ერთად დაეხმაროს მას მაღალი კულტურის მქონე საბჭოთა ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ჩვევების გამომუშავებაში.

ჩვენი თეატრის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ახალგაზრდა მაყურებლებს შორის დისციპლინის განმტკიცება. ცხადია, თეატრის მუშაობას აზრი არ ექნება, თუ მაყურებელი გულდასმით არ მოუსმენს თვითეულ სპექტაკლს, თუ სპექტაკლების მსვლელობის დროს დარბაზში უწესრიგობა და ჟრიამულია.

მაგრამ მაყურებელთა შორის დისციპლინის განმტკიცება, სპექტაკლებზე მოსწავლეთა ორგანიზებული დასწრება თეატრს არ შეუძლია პედაგოგიური აქტივის, სკოლების კომკავშირული ორგანიზაციებისა და მშობელთა აქტივის დაუხმარებლად.

მთელი რიგი სკოლების დირექტორებს, პედაგოგებსა და მშობლებს კარგად აქვთ შეგნებული ეს გარემოება. ლენინის რაიონის სკოლებისა და რკინიგზის სკოლების მოსწავლეები თეატრში მოდიან ორგანიზებულად. მათ ყოველთვის თან ახლავთ მასწავლებლები. ამიტომ არის, რომ ისინი სპექტაკლებს გულდასმით უსმენენ, ანტრაქტებში წესიერად, ზრდილობიანად იქცევიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინიგზის მე-3 სკოლის, მე-4, 36-ე, 84-ე, მე-12, 67-ე, 51-ე, 87-ე და 30-ე სკოლების დირექტორთა ყურადღება, რასაც ისინი თეატრში მოსწავლეთა მიერ წესრიგის დაცვისადმი იჩენენ.

შარშან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და კულტურის სამინისტრომ მიიღეს სპეციალური დადგენილება მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრების მუშაობაში განათლების ორგანოებისა და სკოლების მონაწილეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი სკოლების დირექტორები მაინც გულგრილად ეკიდებიან ამ საქმეს. სკოლებში არ იმართება საუბრები საზოგადოებრივ ადგილებში და კერძოდ თეატრში მოსწავლეთა ყოფაქცევის შესახებ, არ ეწყობა ნახულ სპექტაკლებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სპექტაკლებზე მოსწავლეთა კოლექტიური დასწრების დროს ადგილი აქვს უდისციპლინობას — ხმაურს, სტვენას, წამოძახილებს. უდისციპლინობით განსაკუთრებით გამოირჩევიან თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ სკოლის მასწავლებლები სპექტაკლებს არ ესწრებიან და მოსწავლეები თავიანთ ნებაზე არიან მიშვებული. თეატრში წესრიგს არღვევენ აგრეთვე 29-ე, 39-ე, 46-ე, 54-ე, 57-ე, 58-ე, მე-60 და სხვა სკოლების მოსწავლეები.

საინტერესოა, დასახელებული სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს რატომ ავიწყდებათ, რომ თეატრში მოსწავლეთა ყოფაქცევისადმი შეუნელებელი ყურადღება თეატრის მუშაკებთან ერთად პედაგოგთა ღვიძლი საქმეა.

ს. გვარამაძე,
მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორი.

სასწავლებელს შენობა უნდა გამოეცვალოს

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქ. თბილისში გაიხსნა მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. მას აქვს სამი განყოფილება: თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური. ეს სასწავლებელი ამზადებს სოფლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების პროფესიონალ ხელმძღვანელებს.

სასწავლებელშია 240-მდე მოსწავლე, რომელთა აღზრდასაც ემსახურება 86 პედაგოგი. მასწავლებლებს შორის ბევრია ქართული ხელოვნების გამოცდილი მოღვაწე, რომლებიც მთელი მონდომებით ეკიდებიან თავიანთ საქმეს.

კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი მოთავსებულია ივანიძის ქუჩაზე მდებარე შენობაში, რომელიც სრულიად შეუფერებელია მისთვის. სასწავლებელს აქვს 11 სამეცადინო ოთახი, რომელთაგან 2 — ფანერისაგან არის შეკრული. ოთხი საკლასო ოთახი სარდაფშია მოთავსებული. მათ ფანჯრები არა აქვთ და მოკლებული არიან დღის სინათლეს. აქვეა სასწავლებლის ბიბლიოთეკა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო ოთახსაც, სამასწავლებლოსაც.

შენობას სახურავი არ უვარგა და წვიმის დროს წყალი ჩამოდის. მეექვსე აუდიტორიაში გადმონგრეულია კედელი. შენობის კედლები რამდენიმე ადგილას გაბზარულია. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ სასწავლებელს არა აქვს საერთო საცხოვრებელი და ბევრი ახალგაზრდა დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს.

სასწავლებლის შენობაზე მოდგმულია სარეწაო საბჭოს კულტურის სახლის დეკორაციების საწყობი, რის გამო ამოშენებულია 5 ფანჯარა. სასწავლებლის დირექციამ (დირექტორი ამხ. შ. მაჭავარიანი) თბილისის საქალაქო საბჭოში აღძრა კულტურის სახლის საწყობის დანგრევის საკითხი. საქალაქო საბჭოს კომისიამ საჭიროდ ცნო საწყობის ნაწილის მონგრევა და საამისოდ საჭირო სახსრების გაღება დააკისრა სასწავლებელს. დირექციამ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ვერ გამონახა სათანადო თანხები.

საჭიროა ყურადღება მიექცეს კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის შენობას.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მოუქნელი მშენებლები და გულგრილი დამკვეთები“

„კომუნისტის“ 13 იანვრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში მხილებული იყო მშენებლობების გაჭიანურების ძირითადი მიზეზები: სამშენებლო სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია, დამკვეთი ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი, რაც გამოიხატება საშენი მასალებით სამშენებლო ობიექტების არადამაკმაყოფილებელ მომარაგებაში, საპროექტო დოკუმენტაციით აღჭურვასა და დაფინანსებაში და ა. შ.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ განიხილა წერილში მხილებული ფაქტები, ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და მშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი: წელს პირველი მაისისათვის უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლი არაყიშვილის ქუჩაზე და საცხოვრებელი სახლის ორი კორპუსი კომინტერნის ქუჩაზე (საბურთალოზე). დამთავრდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლის ფასადის სამუშაოები.

მიმდინარე წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ლიტფონდის საცხოვრებელი სახლი გოგებაშვილის ქუჩაზე და მთლიანად იქნება ათვისებული აკადემიის კომპლექსის მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები.

მეტი ყურადღება გამომცემლობის საქმიანობას

ამას წინათ მოსკოვში გამართულმა გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა გამოააშკარავა სერიოზული ნაკლი წიგნის გამოცემის საქმეში და დასახა ღონისძიებანი გამომცემლობებისა და პოლიგრაფიის საქმის შემდგომი აღმავლობისათვის.

თათბირზე აღინიშნა, რომ გამომცემლობანი საკმაო რაოდენობით ვერ უშვებენ პოლიტიკურ ლიტერატურას, წიგნებს ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, ბროშურებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილებაზე. ცოტა გამოდის ცნობარები, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა. მრავალი წიგნი თავისი შინაარსით არ შეესაბამება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობას. გამომცემლობანი ზოგჯერ უშვებენ უფერულ, ზერელედ დაწერილ, დაუმუშავებელ წიგნებს. ამის მიზეზია ის, რომ გამომცემლობებმა შეასუსტეს მომთხოვნელობა ავტორებისადმი.

თათბირმა ხაზი გაუსვა, რომ გამომცემლობანი არასაკმაოდ ზრუნავენ თავიანთ გარშემო კვალიფიციურ ავტორთა აქტივის შემოკრებისათვის, მჭიდრო კონტაქტი არა აქვთ ადგილობრივ სამეცნიერო და შემოქმედებით ორგანიზაციებთან. ბევრ გამომცემლობას ლიტერატურის გამოცემის პერსპექტიული გეგმა არა აქვს. ეს იწვევს იმას, რომ ისეთი დედნების მომზადება, რაც ხანგრძლივ დროს მოითხოვს, თვითდინებაზეა მიშვებული. თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წიგნის მხატვრულად გაფორმებისა და პოლიგრაფიულად შესრულების საქმეს. წიგნი უნდა იყოს ადვილად საკითხავი, მკვრივი და მიმზიდველი. თათბირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წიგნის როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

თათბირზე აღნიშნული ნაკლი მეტნაკლებად ახასიათებს საქართველოს გამომცემლობებსაც. კერძოდ, მნიშვნელოვანი ამოცანები დგას ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობის „ტექნიკა და შრომას“ წინაშე. ეს გამომცემლობა ქართულ ენაზე უშვებს სახელმძღვანელოებს უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლებისათვის, აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

ჩვენი გამომცემლობის მუშაობას საგრძნობლად განსაზღვრავს მისი პოლიგრაფიული ბაზის საწარმოო სიმძლავრის შეზღუდულობა. გამომცემლობა მიმაგრებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს № 2 სტამბაზე, ეს სტამბა კი უზრუნველყოფილი არ არის საკმაო შრიფტით, მათემატიკური და ქიმიური ნიშნებით და სხვა მასალებით. არსებული შრიფტი ძველი და გაცვეთილია, მისი განახლება ან არ ხდება ან ძალიან ნელა წარმოებს. სტამბა ამავე დროს პოლიგრაფიულ სასწავლებელს წარმოადგენს. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ სამუშაოებს ძირითადად მოსწავლეები ასრულებენ, რასაც არ შეუძლია გავლენა არ იქონიოს წიგნის ხარისხზე.

ტექნიკური წიგნების თავის დროზე გამოსვლას აფერხებს გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ფოტოცინკოგრაფიის გადატვირთვა შეკვეთებით, ამავე დროს მისი არასაკმაოდ მომარაგება საჭირო მასალებით. უკანასკნელ ხანს ფოტოცინკოგრაფიამ საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, თუმცა მიღწეული დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რასაც მას გამომცემლობანი უყენებენ, განსაკუთრებით ფერადი ბეჭდვის დარგში.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ გეგმების შეუსრულებლობა იმის შედეგი იყო, რომ გამომცემლობამ ვერ გარდაქმნა მუშაობა. იყო შემთხვევები, როცა წარმოებაში უშვებდნენ არასათანადოდ დამუშავებულ დედნებს, რაც კორექტურებში დიდ სწორებას იწვევდა. გამომცემლობა არ იჩენდა საჭირო მომთხოვნელობას ავტორებისადმი, ზოგჯერ მათგან იღებდა დედნებს, რომელთაც სერიოზული გადამუშავება სჭირდებოდა. იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ბროშურების გამოცემას წარმოების ნოვატორთა გამოცდილებაზე.

გავითვალისწინეთ რა აღნიშნული ნაკლოვანებანი, დავსახეთ საქმიანი ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად. რედაქტორები ახლა უფრო გულდასმით მუშაობენ დედნებზე, აღმოფხვრილია უხეში შეცდომები, რაც წინათ იყო საგაზეთო, საჟურნალო სტატიების და წიგნის მატიანეებში, რომლებსაც ჩვენ ვბეჭდავთ; გაუმჯობესდა წიგნის, განსაკუთრებით სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების მხატვრული გაფორმება. ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის გამომცემლობამ შტატში მოიწვია მხატვარი გამფორმებელი.

თარგმნილი ლიტერატურა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ პროდუქციის თითქმის ნახევარს შეადგენს. ამიტომ თარგმანის ხარისხისათვის ბრძოლა ჩვენი ყურადღების ცენტრში დგას. ტექნიკური ლიტერატურის თარგმნისათვის ვიწვევთ მეცნიერებისა და ტექნიკის სათანადო დარგების სპეციალისტებს.

მიღებულია ზომები სპეციალისტების მხრივ დედნების რეცენზირებისა და რედაქტირების საქმის გაუმჯობესებისათვის. პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით გამოსულ წიგნზე სპეცრედაქტორის გვერდით ვაწერთ რეცენზენტის გვარსაც. რეცენზენტის აზრს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წიგნის გამოცემისათვის. ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა რეცენზია „ტექნიკა და შრომას“ მიერ გამოცემულ დ. კატრენკოს წიგნზე „შავი ოქრო“. როგორც რეცენზიიდან ირკვევა ამ ბროშურის გამოცემა არ ღირდა, რადგან მასში მოყვანილი ტექნიკური ცნობები მოძველებულია. ბროშურის თარგმანი წარმოებაში ჩაშვების წინ გამომცემლობამ სარეცენზიოდ გადასცა ერთ ერთ ინჟინერს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს. იგი, იმის ნაცვლად, რომ არსებითად განეხილა ბროშურა და მისი თარგმანი, დაკმაყოფილდა თარგმანის დედანთან შედარებით და წიგნის შინაარსს ყურადღება არ მიაქცია. გამომცემლობა დაენდო მის აზრს, გამოსცა ბროშურა და ამით შეცდომა დაუშვა. გამომცემლობამ გადაწყვიტა, გამოსაცემად არ მიიღოს უმაღლესი სკოლის არც ერთი სახელმძღვანელო, თუ იგი წინასწარ განხილული არ იქნება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. სადავო დედნები განხილული იქნება გამომცემლობის სარედაქციო საბჭოს სხდომაზე.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიგრაფიული ბაზის შეზღუდული შესაძლებლობა ჩვენი გამომცემლობის გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ამიტომ იძულებული ვართ ვეძიოთ სხვა სტამბები, სადაც შესაძლებელი გახდება ჩვენი დაკვეთების შესრულება. თბილისის სტამბები ძალიან გადატვირთულია. ამავე დროს ადგილებზე არის საკმაოდ კარგად მოწყობილი სტამბები (ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, სტალინირი), რომლებსაც შეუძლიათ საგრძნობი დახმარება გაგვიწიონ წიგნების გამოცემაში.

საჭიროა გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარმა სამმართველომ მოამარაგოს აღნიშნული სტამბები მათემატიკური და ქიმიური ნიშნებით, მაშინ იქ რთული ტექნიკური წიგნების გამოცემაც მოხერხდება.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ 1955 წელს ძირითად ამოცანად ისახავს მომზადოს და გამოსცეს სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტებისათვის და სხვა სპეციალური სასწავლებლებისათვის. ითვალისწინებს რა წარმოების ნოვატორთა გამოცდილებაზე ბროშურების გამოცემის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას, გამომცემლობას წელს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს ბროშურები რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე ადამიანების, ტყიბულისა და ჭიათურის საუკეთესო მაღაროელების, საფეიქრო მრეწველობის ნოვატორების, მოწინავე ხარატის ილია ჭუმბურიძისა და სხვათა შესახებ.

სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის დარგში გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ უკანასკნელ დრომდე კმაყოფილდებოდა სათანადო ბროშურების თარგმნით და ნაკლებად იწვევდა ადგილობრივ ავტორებს საინტერესო წიგნების შექმნისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა თემაზე. ამჟამად ამ მიმართულებით მიღწეულია ერთგვარი გარდატეხა. მომზადებული და წარმოებაში ჩაშვებულია რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი სხვადასხვა თემაზე.

გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მიმართვის პასუხად გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა აღმოფხვრას თავისი მუშაობის ნაკლოვანებანი, გაადიდოს სახელმძღვანელოების გამოშვება უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლებისათვის, მიაღწიოს სასწავლო და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის შინაარსისა და გარეგნული გაფორმების გაუმჯობესებას.

შ. გუაჩიძე,
გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ დირექტორი.

ხულიგნები ტელეფონთან

კინოთეატრში უკანასკნელი სეანსი დამთავრდა. მაყურებლებიც და თანამშრომლებიც შინისაკენ გაეშურნენ. მხოლოდ ორი ახალგაზრდა მეგობარი შემორჩა კინოთეატრის შენობას — ანზორ ხაჩიბაბოვი და ვალიკო სარქისოვი. პირველი მათგანი კინომექანიკოსის თანაშემწეა, ხოლო მეორე ლენტების მიმწოდებლად მუშაობს.

ისინი ღამის თორმეტი საათიდან დილის 8 საათამდე მორიგეებად არიან გამოყოფილი. მათ განკარგულებაშია სპეციალური ოთახი, ტელეფონი...

ანზორ ხაჩიბაბოვს და ვალიკო სარქისოვს მოსაწყენად მოეჩვენათ მათთვის დაკისრებული პასუხსაგები მოვალეობის შესრულება. მოინდომეს გამხიარულება, ცოტა შენაყრდნენ, არაყი გადაჰკრეს, ზედ ლუდიც დააყოლეს და თავი ყოვლისშემძლეებად წარმოიდგინეს...

ანზორმა მეგობარს შესთავაზა მხიარული გართობის ახალი ვარიანტი — ტელეფონზე უსაქმოდ რეკვა და რომელიმე მობინადრის ან მორიგის უსაფუძვლო ლანძღვა. მათ ავტომატურ ტელეფონზე აკრიფეს ნომერი 02. — ეს თბილისის მილიციის საქალაქო სამმართველოს სამორიგეოა.

— ალო, რომელი ხარ?

— გისმენთ მორიგე, ლეიტენანტი ჯოჯუა!

— დიდი ვინმე კი ყოფილხარ! მეტი საქმე არა გაქვს, რომ მორიგეობ?

აქ უკვე შეუძლებელია იმ სალანძღავი სიტყვების გადმოცემა, რომლებიც მილიციის სამმართველოს მორიგემ მოისმინა არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ...

ორმა შეზარხოშებულმა მეგობარმა ტელეფონის ნომერი 02 ბევრჯერ აკრიფა. მთელი ღამის განმავლობაში გული იჯერეს ლანძღვა-გინებით.

დილის 7 საათზე ტელეფონის ხულიგნებმა ერთხელ კიდევ გაიმეორეს თავიანთი ნომერი.

— ალო, კვლავ ჯოჯუა ხარ?

— არა, ჯოჯუა უკვე თქვენთან იქნება!

მართლაც იმ დროს, როცა ნ. ჯოჯუას კითხულობდნენ, მან ორივე ახალგაზრდას ხელი ჩასჭიდა და მილიციის სამორიგეოში წაიყვანა. დილის 7 საათისათვის გამოირკვა, რომ ურეკავდნენ ტელეფონით № 3-39-84.

ასე იოლად მონახა ხულიგნობის ახალი ფორმა ორმა ახალგაზრდამ, რომელთა შორის ერთი — ანზორ ხაჩიბაბოვი კომკავშირელია. მათი კომუნისტური აღზრდისათვის, ეტყობა, თავი არ შეიწუხეს არც კომკავშირის ორგანიზაციამ, არც მშობლებმა...

ანზორ ხაჩიბაბოვი და ვალიკო სარქისოვი ხულიგნობის ჩადენისათვის მილიციის ორგანოებმა შეიპყრეს. მალე ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

თბილისში ჯერ კიდევ მოიპოვებიან მათი მსგავსი ახალგაზრდები, რომლებსაც ტელეფონით ხულიგნობა თავის პროფესიად გაუხდიათ. ისინი პასუხს აგებენ ჩვენი ხალხის წინაშე, თუ გამოსწორების გზას არ დაადგნენ.

ს. არლუნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადება

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის წევრები დიდი გულისწყრომით შეხვდნენ ცნობას, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ გადაწყვიტა დაავალოს აგრესიული ბლოკის სამხედრო სარდლობას შეიმუშაოს მომავალ ომში ატომური და წყალბადის ბომბებისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა იარაღის გამოყენების გეგმები.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება წითელი ჯვრის ჰუმანური პრინციპების ტრადიციებს, წითელი ჯვრისა, რომლის მთავარი ამოცანაა გადაარჩინოს კაცობრიობა ტანჯვას და დაიცვას ადამიანები განადგურებისაგან.

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ყველა წევრს, რომლებიც ფართო პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, შეგნებული აქვს, რომ ათასობით დაჭრილი მეომრის სიცოცხლის გადარჩენა ბრძოლის ველზე წითელი ჯვრის ერთ-ერთი კეთილშობილური ამოცანაა, მაგრამ მათ ამავე დროს ესმით, რომ წითელი ჯვრის არანაკლებ კეთილშობილური და ჰუმანური ამოცანაა მილიონობით ადამიანისა და განსაკუთრებით მოხუცების, ქალებისა და ბავშვების სიცოცხლის გადარჩენა ატომური ომის მოახლოებული საფრთხის თავიდან აცილების გზით.

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციები, რომლებმაც ცოტა წვლილი როდი შეიტანეს უკანასკნელი ომის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში, გადაჭრით აცხადებენ პროტესტს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათ შორის სხვადასხვა დაავადების თავიდან აცილებისა და მკურნალობისათვის, და არა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობისათვის.

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ყველა წევრის სახელით სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომი სავსებით უჭერს მხარს და მხურვალედ იწონებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას ხალხებისადმი ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციების ყველა რიგით წევრს აქტიურად დაუჭირონ მხარი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას, რომელიც მოითხოვს ყველა ქვეყანაში ატომური იარაღის მარაგის მოსპობას და მისი წარმოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

აღმასრულებელი კომიტეტი მიესალმება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ 1 აპრილიდან სსრ კავშირში დაიწყოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია და რწმენას გამოთქვამს, რომ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციების ყველა წევრი მხურვალედ გამოეხმაურება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწოდებას, ხელს მოაწერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას და ამ ხელმოწერას განამტკიცებს ახალი შრომითი გმირობით და მიღწევებით მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და ჩვენი სამშობლოს სანიტარული თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი აგრეთვე რწმენას გამოთქვამს, რომ ყველა ქვეყნის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა ყველა წევრი, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენისა, ყველა, ვინც წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ჰუმანური პრინციპების ერთგულია, ვისაც არა სურს მილიონობით მამაკაცის, ქალის, მოხუცისა და ბავშვის სიკვდილი, მხარს დაუჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ, ყველა ქვეყანაში ატომური იარაღის მარაგის აკრძალვისათვის.

ყველა იმათი ერთიანი ღონისძიებებით, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ატომური ომის საფრთხე უნდა აღმოიფხვრას!

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ვარშავიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ვარშავა, 22 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავიდან საბჭოთა კავშირში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვ. ს. ბალაკინა, პ. ბ. ბიკოვი, მ. ს. გრეჩუხა, მ. პ. კაუნაიტე, ვ. ფ. კუპრევიჩი, ა. მ. საფრონოვი.

ოკენციის ცენტრალურ აეროდრომზე ვარშავაში, დელეგაცია გააცილეს სეიმის მარშალმა იან დემბოვსკიმ, სეიმის ვიცე-მარშლებმა ფრანტიშეკ მაზურმა, იუზეფ ოზგა-მიხალსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზენონ ნოვაკმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სტანისლავ სკშეშევსკიმ, სახელმწიფო საბჭოს მდივანმა მარიან რიბიცკიმ, საგარეო საქმეთა სამინისტროს სათემო განყოფილების გამგემ ედვარდ ბარტოლმა, ვარშავის სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ეჟი ალბრეხტმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე პოლონეთის დედაქალაქის მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა პოლონეთში ნ. ა. მიხაილოვმა და ვარშავაში საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ა. პ. ვოლკოვმა.

— ტოვებს რა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავას, — თქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას მოვალეობად მიაჩნია დიდი მადლობა გადაუხადოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და მთელ პოლონელ ხალხს იმ ყურადღებისა და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ აღმოგვიჩინეს თქვენს ქვეყანაში. სიყვარულისა და პატივისცემის ამ გულწრფელ გრძნობებს ჩვენ ვიღებთ როგორც იმ ძმური მეგობრობის გამოვლინებას, რომელიც ჩვენს ხალხებს აკავშირებს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს პოლონეთის ხალხის მასებმა ახალი ცხოვრების მშენებლობაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. მშვიდობიან შემოქმედებითი შრომაში ჩაბმული პოლონელი ხალხი გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობას.

ყველგან — ფაბრიკებსა და ქარხნებში, სოფლის მეურნეობის მშრომელებთან, პოლონეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, სეიმის მეექვსე სესიის სხდომებზე— ჩვენ გვესმოდა პოლონეთის მშრომელთა ძლიერი ხმა, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწოდებას ყველა ქვეყნის ხალხებისა და პარლამენტებისადმი — გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი და არ დაუშვან ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ჩვენი დიდი ბანაკი დღეს ყველაზე უფრო დარაზმული და ძლიერია. იგი შეძლებს დაიცვას თავისი სამართლიანი საქმე და ჩაშალოს ომის გამჩაღებელთა ხრიკები.

ტოვებს რა ვარშავას, თქვა დასასრულ ა. პ. ვოლკოვმა, ჩვენი დელეგაცია სულითა და გულით უსურვებს პოლონელ ხალხს შემდგომ წარმატებას თავისი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

★

22 მარტს მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ა. პ. ვოლკოვის მეთაურობით. დელეგაცია პოლონეთში იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მიწვევით.

საბავშვო წიგნის კვირეული

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში წიგნის მაღაზიებში, კიოსკებში, აქ „საბავშვო წიგნის კვირეულთან" დაკავშირებით, რაც ამჟამად მიმდინარეობს, გამოტანილია დიდძალი საბავშვო ლიტერატურა. მარტო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ წიგნის კვირეულისათვის ქართულ ენაზე გამოუშვა ლერმონტოვის, ჩეხოვის, სტანიუკოვიჩისა და სხვ. ნაწარმოებები.

კლუბებში, ბიბლიოთეკებში, პიონერთა სასახლესა და სახლებში ეწყობა საბავშვო ლიტერატურის დილები, მკითხველთა კონფერენციები, წაკითხული წიგნების გარჩევა. მოსწავლეები აწყობენ შეხვედრებს წიგნის ავტორებთან, სოციალისტური შრომის გმირებთან, მეცნიერებთან. ეწყობა კოლექტიური წასვლა კინოთეატრებში, მუზეუმებში, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და მტსებში, ისტორიულ ადგილებში.

საბავშვო წიგნის კვირეულთან დაკავშირებით თბილისის მასწავლებლის სახლში 24 მარტიდან იწყება კინოფესტივალი თემაზე „სამშობლოსათვის". ნაჩვენები იქნება სურათები „ზოია", „პოლკის შვილი", „ახალგაზრდა გვარდია".

სკოლებში მშობლებისათვის იკითხება ლექციები — „როგორ დავეხმაროთ ბავშვებს წარმატებით სწავლაში", „ლიტერატურის კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობა ბავშვთა კულტურული განვითარების საქმეში".

საბავშვო წიგნის კვირეული 1 აპრილამდე გაგრძელდება.

სურათზე: საქწიგნის № 27 მაღაზიის კიოსკთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესიაზე

პრაღა, 22 მარტი. (საკდესი). პრაღაში გრძელდება ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესია. გუშინ საღამოს სხდომაზე დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეროვნული კრების პრეზიდიუმის საქმიანობა, რომლის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა კრების თავმჯდომარემ ზდენეკ ფირლინგერმა.

ეროვნულმა კრებამ გუშინვე მოისმინა სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარის მინისტრ ოტოკარ შიმუნეკის მოხსენება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

დღეს დილის სხდომაზე მოხსენება ჩეხოსლოვაკიის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გააკეთა ფინანსთა მინისტრმა იულიუს დიურიშმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობა მთავარ ყურადღებას აქცევს მძიმე მრეწველობის შემდგომ განვითარებას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საფუძველია.

ჩვენი ნაციონალური შემოსავალი, თქვა დიურიშმა, 1948 წელთან შედარებით 65 პროცენტით გადიდდა. კაპიტალდაბანდებანი 1948 წლის 6.885 მილიონი კრონიდან გადიდდა 20 მილიარდ კრონამდე 1954 წელს.

მთავრობამ ეროვნულ კრებას წარუდგინა სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 86.209 მილიონი კრონის და გასავლის ნაწილში 86.039 მილიონი კრონის ოდენობით. სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილია საბიუჯეტო ასიგნობათა 51 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — 32,9 პროცენტი, სახელმწიფო თავდაცვისათვის — 12,1 პროცენტი, ადმინისტრაციული აპარატის შესანახავად — 4 პროცენტი. პარტია და მთავრობა, აღნიშნა მომხსენებელმა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. სოფლის მეურნეობის საერთო ხარჯები 1954 წელთან შედარებით დიდდება 20,4 პროცენტით და 1952 წელთან შედარებით ასი პროცენტით.

დღეს დილისა და საღამოს სხდომებზე განიხილეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ხელმოწერის შეგროვება ბრაზილიაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე

მონტევიდეო, 22 მარტი. (საკდესი). 13 მარტს ბრაზილიაში დაიწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. 320 ბრაზილიელმა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, კულტურის მუშაკებმა, სამხედრო პირებმა, მრეწველებმა, მწერლებმა —სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიური რწმენის ადამიანებმა, ხელი მოაწერეს რა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ვენის მიმართვას, მოუწოდეს ბრაზილიელ ხალხს ხელი მოაწეროს ამ მიმართვას და ამით დაგმოს ატომური ომის მომზადება და მოითხოვოს, რომ მოისპოს ატომური იარაღის მარაგი და დაუყოვნებლივ შეწყდეს მისი წარმოება.

როგორც გაზეთი „იმპრენსა პოპულარი" იუწყება, ბრაზილიელ თვალსაჩინო მოღვაწეთა მოწოდების პასუხად ბრაზილიაში დაიწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ვენის მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. რიო-დე-ჟანეიროს მეავეჯეთა პროფკავშირის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი მიმართვას.

დამთავრდა სან-მარინოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ყრილობა

რომი, 22 მარტი. (საკდესი). სან-მარინოში დამთავრდა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ყრილობა. პარტიის მდივნის გასპერონის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო ბევრმა ორატორმა. გასპერონიმ საბოლოო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „რესპუბლიკაში შეიქმნას სხვადასხვა სოციალური ფენისა და პოლიტიკური რწმენის ადამიანთა ფართო ფრონტი იმისათვის, რომ დაიცვან ძირითადი სიკეთე — მშვიდობა, რომელიც პირველი წანამძღვარია იმისა, რომ სან-მარინოს ხალხის მისწრაფებები განხორციელდეს". შემდეგ ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას გადასინჯოს კონსტიტუცია, „რათა ყველა მოქალაქეს შეეძლოს მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და, კერძოდ, რათა ქალებმა მიიღონ მამაკაცთა თანაბარი უფლებები ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ დარგში".

სტასენის დანიშვნა

ვაშინგტონი, 21 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის სპეციალურ თანაშემწედ დანიშნა ჰაროლდ სტასენი „განიარაღების საკითხთა" მინისტრის რანგით.

ეიზენჰაუერის განცხადება ცხადყოფს, რომ სტასენის ახალი დანიშვნა ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების შეშფოთებას იმის გამო, რომ მსოფლიოში ძლიერდება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მოთხოვნის კამპანია და იმ გამოხმაურების გამო, რომელიც მსოფლიოს საზოგადოებრიობაში გამოიწვია საბჭოთა კავშირის ნათელმა და კონკრეტულმა წინადადებებმა, რომელთა მიზანია შემცირდეს შეიარაღების ტვირთი და აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ცდა სახელი გაუტეხოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მუშაობას, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მიმდინარე ლონდონის სესიამ „კვლავ ვერ მიაღწია რაიმე პროგრესს და ვერ გამოიწვია რაიმე ნათელი აზრი ამ საკითხზე", თუმცა ცნობილია, რომ ქვეკომიტეტს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მუშაობა. დამახასიათებელია, რომ ამერიკის პრესა მხარს უჭერს ამ თეზისს, რომლის მიზანია სახელი გაუტეხოს საერთაშორისო მოლაპარაკების იდეას.

ეხება რა სტასენის დანიშვნას, ამერიკისა და ინგლისის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს ამ დანიშვნის პროპაგანდისტულ ხასიათს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, სტასენის დანიშვნის მიზანია ჩამოაშოროს ყურადღება გამალებულ შეიარაღებას, რასაც ამერიკის მთავრობა ახორციელებს, პრეზიდენტის თანაშემწის განსაკუთრებული თანამდებობის შექმნით, რომელიც განიარაღებისათვის იზრუნებს.

საბჭოთა გამოფენის წარმატება შანხაიში

შანხაი, 22 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევათა გამოფენას, რომელიც ამას წინათ შანხაიში გაიხსნა, ქალაქის საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას აქცევს. ერთ კვირაში იგი უკვე დაათვალიერა 400 ათასამდე კაცმა.

შანხაის გაზეთი „სინვენჟიბაო" აღნიშნავს საბჭოთა გამოფენის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა ხალხის მრავალმხრივი მოწინავე გამოცდილების შესწავლაში და წერს, რომ „გამოფენა კარგი სკოლაა, სადაც ჩვენ საბჭოთა კავშირისაგან ვსწავლობთ".

ჰოლანდიაში გაიხსნა 64-ე ყოველწლიური საერთაშორისო სამრეწველო გამოფენა

ჰააგა, 22 მარტი. (საკდესი). დღეს უტრეხტში გაიხსნა 64-ე ყოველწლიური საერთაშორისო საგაზაფხულო სამრეწველო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ევროპის, აზიისა და ამერიკის 26 ქვეყანა.

წელს უტრეხტის გამოფენაში პირველად მონაწილეობს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა პავილიონი უკვე დიდი ხანია საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. მრავალი მნახველი იყო საბჭოთა პავილიონში.

უტრეხტის გამოფენაზე საბჭოთა პავილიონის დირექტორმა ნ. ნ. კუზნეცოვმა გუშინ მოიწვია პრეს-კონფერენცია, რომელზეც დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირის მიერ ექსპონირებულ საქონელს და საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობებს. პრეს-კონფერენციის შემდეგ ჟურნალისტებს შესაძლებლობა მისცეს დაეთვალიერებინათ საბჭოთა პავილიონი. დღეს გაზეთები აქვეყნებენ იმ ჟურნალისტთა დადებითს გამოხმაურებებს, რომლებმაც დაათვალიერეს საბჭოთა პავილიონი.

გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ნიდერლანდში ე. პ. გუროვმა გამოფენის გახსნის გამო მოაწყო საბჭოთა პავილიონში დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ პარლამენტის წევრები, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, ჰოლანდიის სავაჭრო და საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სტუმართა შორის დარბაზობაზე იყო ქალაქ უტრეხტის მერი ბ-ნი რაინტიენსი.

დარბაზობას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ნიდერლანდში ს. პ. კირსანოვი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში

ლონდონი, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 23 მარტს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ბ" კლასის გუნდების შეხვედრები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა „ბ" კლასის გუნდებს შორის ფეხბურთში სსრ კავშირის 1955 წლის პირველობის გათამაშების წესი.

შეჯიბრება იწარმოებს ერთსა და იმავე დროს ორ ზონაში, რომელთაგან თვითეულში იქნება თექვსმეტი გუნდი. შეხვედრები დაიწყება 17 აპრილს.

პირველ ზონაში თამაშობენ გუნდები: „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), ოფიცრის სახლი (სევასტოპოლი), „ბურევესტნიკი" (კიშინიოვი), „პიშჩევიკი" (ოდესა), „სპარტაკი" (უჟგოროდი), ოფიცრის სახლი (ლვოვი), „მეტალურგი" (დნეპროპეტროვსკი), „დაუგავა" (რიგა), „დინამო" (ტალინი), ოფიცრის სახლი (კიევი), „სპარტაკი" (ვილნიუსი), „კრასნოე ზნამია" (ივანოვო), „სპარტაკი" (კალინინი), „შახტიორი" (მოსკოვის ქვანახშირის აუზი), „ლოკომოტივი" (ხარკოვი) და ქალაქ სტუპინოს (მოსკოვის ოლქი) გუნდი.

მეორე ზონაში გაერთიანებული არიან გუნდები: „ტორპედო" (გორკი), „სპარტაკი" (ერევანი), „ნეფტიანიკი" (ბაქო), „ტორპედო" (დონის როსტოვი), ოფიცრის სახლი (თბილისი), „ლოკომოტივი" (ალმა-ატა), „ავანგარდი" (ჩელიაბინსკი), ოფიცრის სახლი (სვერდლოვსკი), „ავანგარდი" (სვერდლოვსკი), „ტორპედო" (სტალინგრადი), „ენერგია" (სარატოვი), „სპარტაკი" (ტაშკენტი), ქალაქ ვორონეჟის გუნდი, „ნეფტიანიკი" (კრასნოდარი), ქალაქ მოლოტოვის გუნდი და ქალაქ კალინინგრადის (მოსკოვის ოლქი) გუნდი.

შეჯიბრება იწარმოებს იმ ქალაქებში, რომელთა გუნდები მონაწილეობას იღებენ შეჯიბრებაში.

გუნდები, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებენ თავიანთ ზონებში, გადავლენ „ა" კლასში. (საკდესი).

მატჩები სოჭში და გუდაუთში

სოჭი, 22 მარტი. (სპეც. კორ.). აქ გაიმართა მორიგი ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და ვილნიუსის „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივები. ამ გუნდების დუბლშემადგენლობის შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1. ძირითად მოთამაშეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 3:1.

გუდაუთი, 23 მარტი. (სპეც. კორ.). თბილისის „დინამოელები" შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტს". ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეჯიბრება დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ამავე გუნდების ძირითად შემადგენლობათა შეჯიბრება. პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 1:0. მეორე ტაიმში ინიციატივა თბილისელთა მხარეზე იყო. მე-6 წუთზე 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმით და მე-13 წუთზე ხასიას მიერ მიწოდებული ბურთი ლენინგრადელთა კარში გაიტანა ღოღობერიძემ.

შეჯიბრება დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

მორიგ თამაშს თბილისელები გამართავენ 27 მარტს სოხუმში მოსკოვის „ცდსა"-ს გუნდთან.

ქრონიკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი დანიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებად დანიშნა ამხ. ვ. ს. სემიონოვი და ამხ. ნ. ტ. ფედორენკო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

პარასკევს, 25 მარტს

მე-500 სპექტაკლი

ზ. ფალიაშვილი

აბესალომ და ეთერი

ოპერა 4 მოქმედებად და 11 სურათად.
დაწვრილებით აფიშებზე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება.

საქართველოს სსრ სკოლების, საბავშვო სახლების და სკოლის გარეშე დაწესებულებების საყურადღებოდ

მიმდინარე წლის ზაფხულში **20 ივნისიდან 20 აგვისტომდე** ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზები იმუშავებს შემდეგ ქალაქებში: სტალინირში, ფოთში, ჭიათურაში, ზუგდიდსა და თელავში.

გარდა ამისა, შეიძლება საგზურების შეძენა ორი მარშრუტით:

1. თბილისი — გორი — ბორჯომი — ქუთაისი — ბათუმი (მარშრუტის ხანგრძლივობა 17 დღე);
2. თბილისი — მცხეთა — გორი — სოხუმი (მარშრუტის ხანგრძლივობა 14 დღე).

მოსწავლე-ექსკურსანტები ბაზაში ყოფნის დროს გაეცნობიან ამავე ქალაქის და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობებს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და ექსკურსიამძღოლებით.

განცხადების მიღება წარმოებს ა. წ. 5 აპრილამდე ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურში — თბილისი, ჭიჭინაძის ქ. № 1.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება ამავე მისამართით.

ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექცია.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი (დილას), ევგენი ონეგინი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ღალატი (დილას), ოთარაანთ ქვრივი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კაცია ადამიანი?! (დილას), მაია წყნეთელი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — პორტ-არტური (დილას), პროკურორის ქალიშვილი (საღამოს), **სომხური დრამის** — სასიძოები, **მუსიკალური კომედიის** — ორი რეკორდი (დილას), პერიკოლა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 30, 12 ს.), ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 33, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წითელი ყელსახვევი (11 ს.), დაგვიანებული სიყვარული (5 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ახალი მხატვრული ფილმი, თბილისი, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** — ზღვის მონადირე, **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — ვენის საყვარელი მსახიობი, **დიდუბე** — შიშის საფასური (I და II სერია), **კოლმეურნე** — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

24, 25, 26 მარტს

სასკოლო არდადეგების დღეებში

დღის თითო საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი 1 საათზე
ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები სკოლებიდან და ორგანიზაციებიდან კოლექტიურ დასწრებაზე.

კვირას, 27 მარტს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე

მრავალფეროვანი დიდი საცირკო წარმოდგენა

„გასართობი დათვები"

მსახიობ **ელვინა ელვორტის** ხელმძღვანელობით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № № 1 და 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელიუსკინელების ქ. № 31.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

მოქალაქე **ელენე** ანდროს ასულმა **ჯაყელმა**, მცხოვრებმა ვაჩნაძის ქ. № 12, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **აფრასიონ მიხეილის-ძე ჩხიკვიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ვასილის-ძე აკოფოვმა**, მცხოვრებმა კლარა ცეტკინის ქ. № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ თამარ ზაქარიას **ასულ დანდუროვა-აკოფოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ირინე გიორგის ასულმა კეშიშევამ**, მცხოვრებმა ენგელსის ქ. № 60, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **რუბენ ხაჩატურის-ძე კეშიშევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ოლღა, შვილები ამირან, რამინ, ზიჰიკო იუწყებიან **იასონ ბიჭიას-ძე ძიძიგურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, კომკავშირის ქ. № 65.

თბილისის მე-18 საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება **თინათინ ვიქტორის ასულ ჩხეიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-III, 5 ს. გოგებაშვილის ქ. № 40.

მეუღლე რაჟდენ, შვილები ლოლა, ვლადიმერ, ლიდა, ლევან, გურგენ იუწყებიან **ხაშა დავითის ასულ მუშკუდიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 4 ს. ბელინსკის ქ. № 48.

შვილები სულიკო, თამარ ოჯახით იუწყებიან **გიორგი ნიკოლოზის-ძე სულაქველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-III, 8 ს. გამოსვენება 26-III, 5 ს. ქლუხორის ქ. № 5 (ვაკე).

დები ქეთო, მაშურა ოჯახებით იუწყებიან **ნინო (გოგუცა) ალექსის ასულ ჯოხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 3 ს. მოსკოვის ქ. № 7.

შვილები გიორგი, ილია ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ თადეოზის-ძე კემულარიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 3 ს. ზესკის ქ. № 30.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიფინგანის თანამშრომლები იუწყებიან **ბიჭენტი ივანეს-ძე ყუფარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-III, 5 ს. ჯავახიშვილის ქ. № 11.

მშობლები ლეო, ერმალო ოჯახით იუწყებიან **შალვა (ჯუმბერ) თხილაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III სოფელ ვაკოჯვარში (მახარაძის რაიონი).

ძმა ლევან ოჯახით იუწყება **ზაქარია კონსტანტინეს-ძე გალუსტოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 3 ს. ბინიდან, კახეთის შესახვევი № 5.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00163 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.